



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუცი



დუცი (*Agasyllis*), მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი ქოლგოსანთა ოჯახისა.

მაღალი (100–150 სმ) ბალახია. აქვს დიდი, რთული ფოთლები, რთულ ქოლგა ყვავილედეში თავმოყრილი თეთრი ყვავილები. კაკვ. ენდემური მონოტიპური გვარია. მისი ერთადერთი სახეობა (*A. caucasica*) თითქმის მთელ საქართველოშია გავრცელებული. იზრდება სუბალპ. სარტყლის მდელოებზე, მთის მდინარეების ნაპირებზე, ღარტაფებში, ტენიან ადგილებზე.

დუცი კავკასიური დუცი
(*Agasyllis caucasica*)

რ. გავნიძე
